

პავლო პუშკარი

უფლება სამართლიან სასამართლო, არაპანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამნაშავედ ცნობა აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

პავლო პუშკარი

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, დოქტორი,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სარეგისტრაციო სამსახურის იურისტი¹.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ტექსტში „კონვენცია“) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი კონვენციის ერთ-ერთი ხშირად ციტირებული ნორმაა, რომელიც ადგენს დაცვის „ჩარჩოებს“ სასამართლო წარმოების სფეროში. ის ალბათ კონვენციის ყველაზე ცნობილი მუხლია და, სავარაუდოდ, ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შემდგომში ტექსტში „ევროპული სასამართლო“) ამ მუხლზე აქვს მითითება გაკეთებული თავის პრაქტიკაში. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ წინამდებარე ნაშრომის ძირითადი თემა სწორედ ეს უფლება – სამართლიანი სასამართლოს უფლებაა.

ამ კვლევის მიზანია „სამართლიანობის“ ცნების განსაზღვრა სისხლის სამართალწარმოების პროცედურების კონტექსტში. გავეცნობით იმ მაგალითებს, როდესაც პრაქტიკა ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს (მტკიცებულების „არასამართლიანი“ შეფასების მაგალითებზე, მათ შორის, განხილული იქნება ცუდად მოპყრობის გზით მოპოვებული მტკიცებულება და სისხლის სამართლის საქმეთა გამარტივებული სასამართლო მოსმენები,

¹ ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ავტორს ეკუთვნის და არ გამოხატავს რომელიმე დაწესებულების პოზიციას.

რომლებიც დანაშაულის სადაც აღიარებას ეყრდნობა]. ნაშრომის მეორე მიზანია, ვიმსჯელოთ სისხლის სამართალწარმოების უახლესი პრეცედენტების სამართლიანობაზე და დავადგინოთ, თუ როგორ განვითარდა სამართლიანობის ცნების სტანდარტები სასამართლო პრაქტიკაში.

მტკიცებულებების არასამართლიანი შეფასების ზემოთ ნახსენები მაგალითები სისხლის სამართლის საქმეთა სრული და შეკვეცილი სასამართლო მოსმენების მიმდინარეობისას შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ისინი უმეტესად იმ ქვეყნების პრეცედენტულ სამართლს უკავშირდება, სადაც ახლახანს დაინერგა გარკვეული პროცედურები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ამ ქვეყნების სამართლებრივი სისტემისა და სისხლის სამართლის იუსტიციისათვის, აგრეთვე იმ ქვეყნებისას, სადაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ცდილობენ შეჯიბრებითობის კონტექსტის გაძლიერებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო მოსმენაზე. ამგვარად, ამ ქვეყნების გამოცდილება, რომელიც ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არის შეფასებული, შეიძლება გამოდგეს როგორც ინდიკატორი, რომელიც დაადგენს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პრაქტიკის და შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისობას კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებთან სამართლიანობაზე.

სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის განსაზღვრის როული პრიცენტი

ცნობილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას... ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში...“ თავდაპირველად „სამართლიანი სასამართლოს“ სტანდარტის ჩამოყალიბება ეფუძნებოდა „საერთაშორისო სამართალში იურიდიულად დასაბუთებული ტექსტის შემუშავების იდეას [ვინაიდან], ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია² მოკლებული იყო სიზუსტეს... და არსებობდა ტექსტის დახვეწის საჭიროება, რომელიც იურიდული თვალსაზრისით მავალდებულებელი იქნებოდა”³. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს თავიდანვე არარეალისტური იდეა არ განხორციელდა და ევროპულ სასამართლოს საკმარისი სივრცე დარჩა იურიდიული შემოქმედებისთვის სტანდარტის შესაქმნელად და მისი მნიშვნელობის კიდევ უფრო დასახვეწად. შეიძლება ვინმემ მხოლოდ ივარაუდოს, რომ კონვენციის შემქმნელებს თავდაპირველად სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდათ, რადგან კონვენციის მოსამზადებელ სამუშაო მასალაში ნათლად არ ჩანს, თუ რა მოტივაციით იქნა ფორმულირებული მე-6 მუხლის ზემოთ ნახსენები ტექსტი დღევანდელი სახით.

² იბ. ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1996(999 UNTS 171, 6 ILM 383 (1967)). ამბობენ, რომ ამ ორ დებულებას შორის დადი განსხვავებაა.

³ ინის, ქეი და ბრედლი. *European Human Rights Law: Text and Materials*. OUP, 1990, გვ. 13.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშავედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

ალბათ მიზეზთაგან ყველაზე სავარაუდო ის იყო, რომ ამ ნორმით, როგორც კონვენციის ბევრი სხვა არსებითი ნორმითაც, შექმნილიყო სტანდარტი, რომელსაც მოქნილად გამოიყენებდა სასამართლო და ამგვარად, მის განსაზღვრასა და მნიშვნელობის განვითარებასაც შეძლებდა სასამართლო პრაქტიკით. აღსანიშნავია მეორე შესაძლებელი მიზეზიც. ალბათ ეს მუხლი გარკვეულწილად წარმოადგენდა კომპრომისს, რომელზეც კონვენციის შემოქმედები შეთანხმდნენ და რომელიც მათ განსხვავებულ მიღების ასახავდა სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტასთან მიმართებით, რაც სათავეს კონტინენტური და საერთო სამართლის ტრადიციებიდან იღებს⁴. ასევე კომპრომისი იქნა მიღწეული იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა არის სამართლიანი და რა არა სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ტრადიციებზე დაფუძნებული სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში.

უნდა ვალიაროთ, რომ ცალკე აღებული „სამართლიანობის“ ცნების განსაზღვრა იოლი საქმე არ არის. მას ძალზე ფართო, შეიძლება ითქვას, ღრმა ფილოსოფიური და თეორიული მნიშვნელობა აქვს თავისთავად და უამრავი განმარტება შეიძლება მიეცეს. მაგალითად, განმარტებითი ლექსიკონი სასამართლოსთან დაკავშირებით სამართლიანის ასეთ განმარტებას იძლევა: „მიუკერძოებელი და პატიოსანი, თავისუფალი წინასწარი განწყობის, ფავორიტიზმისა და საკუთარი ინტერესებისგან; აგრეთვე – ობიექტური; და თანასწორი კონფლიქტური ინტერესებს შორის“⁵.

სამართლიანობა სამართლის კონტექსტში ხშირად უკავშირდება სოციალურ სამართალს, ხოლო ბრიტანეთში კანონების სამართლიან სისტემას. სამართლიანობის ცნება ასევე ხშირად განიხილება ბუნებითი სამართლის დოქტრინის კონტექსტში იმ ფაქტის გამო, რომ ამ ცნების ინტერპრეტაციაზე დიდი გავლენის უმეტეს ნაწილს ბუნებითი სამართლის თეორიულ საფუძვლებამდე მივყავართ⁶. თუმცა „სამართლიანობა“ ნამდვილად იძენს იურიდიულ მნიშვნელობას, როცა ის მართლმასაჯულების განხორციელების კონტექსტში, უფრო კონკრეტულად კი სისხლის სამართლის საქმეებში მართლმსაჯულების აღსრულებისას გამოიყენება. ამ კონტექსტში სამართლიანობის განსაზღვრის და მისთვის პროცედურული მნიშვნელობის დადგენის რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი⁷, რაც უფრო თეორიულ და ფილოსოფიურ ხასიათს ატარებდა და უმეტესად შეჯიბრებითობის სისტემის მსოფლმხედველობიდან მომდინარეობდა⁸. მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელების თანამედროვე სისტემისადმი იდეოლოგიურად დაპირისპირებული სოციალისტური ქვეყნები ამ ცნებას საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ, განმარტავდნენ რა სამართლიანობას როგორც სასამართლო სხდომის მონაწილეების სოციალურ თანასწორობას⁹. თუმცა ეს მომდინარეობდა კლასიკური საბჭოური მიღებიდან, რომე

⁴ დ. ჯ. პარისი, მ. ო'ბოილი, ს. უორბრიკი. *The Law of the European Convention on Human Rights*. London, Dublin, Edinbourg: Butterworths. 1995, გვ. 164; დ. ჯ. პარისი, მ. ო'ბოილი, ე. პ. ბეიტსი, ს. მ. ბაქლი. *Law of the European Convention on Human Rights*. OUP, მეორე გამოცემა, 2009, გვ. 203.

⁵ Black's Law Dictionary, მე-6 გამოცემა (სენტპოლ, მინესოტა: West Publishing Co), 1990.

⁶ ჯერი მაპერი. *Natural Justice as Fairness. In The Legal Mind. Essays for Tony Honore*. Ed. Neil MacCormick and Peter Birks. (Clarendon Press: Oxford). (1986). გვ. 103-121.

⁷ იხ. მაგალითად, ჯონ როულსი. *Theory of Justice (Cambridge, Mass.)* (1972). გვ. 83-89 (მეორე გამოცემა).

⁸ სთივენ თრეჩსელი. *Why must trials be fair? Israel Law Review*. Vol. 31. 1997, გვ. 98.

⁹ მს. სტროვოვგრი. *On Adversariness and Procedural Functions in the Soviet Criminal Procedure*. //Pravovedeniye. 1962. № 2, გვ. 106-114.

ლიც სისხლისსამართლებრივი პროცედურის მიზანს სახელმწიფოსთვის დასჯის უფლების დამკვიდრების პროცესად მიიჩნევდა¹⁰.

მართლმსაჯულების განხორციელების კონტექსტში „სამართლიანობის“ ცნების განხილვისას უნდა დავსვათ კითხვა, პირველ რიგში, „არსებით სამართლიანობაზე“/”სასამართლო საქმისწარმოების შედეგის სამართლიანობაზე“ (ანუ შედეგის სამართლიანობაზე) ესაუბრობთ თუ პროცედურულ სამართლიანობაზე. ცხადია, რომ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების შედეგი ყოველთვის „სამართლიანი“ არ იქნება (განსაკუთრებით კი სასამართლო სხდომის ზოგიერთი მონაწილისთვის, მაგალითად, ბრალდებულისთვის, რომელიც ჩივის უსამართლო შედეგზე – მის დამნაშვედ ცნობაზე, ან სამოქალაქო მოსარჩელისთვის, რომელსაც სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაციის რაოდენობა არასაკმარისად მიაჩნია). ასე რომ, სამართლიანობა შესაძლოა ფილოსოფიურ ან ზნეობრივ ღირებულებად აღიქმებოდეს¹¹. აქედან გამომდინარე, ხაზს გავუსვამთ, რომ, თეორიული თვალსაზრისით, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ნებისმიერი სახის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლიანობის ორივე ასპექტი – არსებითიც და პროცედურულიც.

შეიძლება ითქვას, რომ პროცედურული სამართლიანობის ცნება შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

თავად არსებული პროცედურის „სამართლიანობას“, რომელიც ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ პროცედურა სწორედ მხარეებისთვის იქმნება და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პროცედურის გამოყენებით ერთ-ერთ მხარეს ენიჭება უპირატესობა უეჭველად მივდივართ უსამართლო გადაწყვეტილებამდე;

- „მთლიანი სისტემის სამართლიანობას“, რაც სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების საფუძვლად კანონის უზენაესობის პრინციპის ფართო გაზრდებას გულისხმობს და რაც მოიცავს, ინტერ ალია, სისხლის სამართლის მოცემული პროცედურული კანონმდებლობის ხარისხს და მის „სამართლიან“ გამოყენებას პრაქტიკაში სამართალდამცავებისა და სასამართლოების მიერ¹².

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი თეორიული საფუძვლები კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიანობის კონცეფტუალური მოქმედების სფეროს არ აკმაყოფილებს, ვინაიდან სამართლიანობამ საკუთარი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ კონტექსტში და იქცა იმ ღირებულებად, რაც საერთოა ევროპული ქვეყნების ზნეობრივი, ეთიკური და სამართლებრივი მემკვიდრეობისთვის. ეს მიღვომა, რომელიც ხაზს უსვამს სამართლიან სასამართლოზე უფლების მნიშვნელობას, ასახულია სასამართლოს ცნობილ, 80-იანი წლების პრეცედენტულ სამართალში, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფლებას მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე ისეთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ ის არ შეიძლება მართებულობას შეეწიროს. გაუმართლებელია, აგრეთვე, ამ უფლების დარღვევის გამართლება საშიში ბოროტმოქმედების წინააღ-

¹⁰ ფოინიცეი. ი.ა. *The Course of Criminal Procedure*. 1912, მეოთხე გამოცემა გვ. 4.

¹¹ სთივენ თრეჩელი. *Supra*. გვ. 95.

¹² ნიკო იორგი. *Are inquisitorial and adversarial systems converging? In Harding, Fennel and Jorg. Criminal Justice in Europe. A Comparative Study. (Clarendon Press)*. (1995). გვ. 42-43.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშვედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში

მდეგ ბრძოლისა თუ საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი მძიმე დანაშაულის გახსნის აუცილებლობით, ისე, რომ მტკიცებულებების მოპოვების კანონიერი გზები უგულებელვყოთ.¹³

„როუვი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ბოლო საქმეა.¹⁴ აქ სასამართლოს დიდმა პალატამ ისევ დაადასტურა ადრინდელი პრაქტიკა და განმეორებით განაცხადა, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე, „წაკითხული მთლიანობაში, გარანტიას აძლევს ბრალდებულს, რომ მან ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომაზე“. სასამართლომ განაცხადა, აგრეთვე, რომ სამართლიან სასამართლოზე უფლების ფუნდამენტური ასპექტია, რომ სისხლისსა-მართლებრივი საქმისწარმოქანა, მათ შორის ისეთი ელემენტები, რომლებიც პროცედურას უკავშირდება, შეჯიბრებითი ბუნების იყოს და ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის თანასწორობა არსებობდეს. დაუშვებელია განმცხადებლის ჩაყენება ისეთ არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდებასთან შედარებით, რომ მან ვერ შეისწავლოს საქმის მასალები ან მათი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირის დამნაშავედ ცნობის საქმეში¹⁵.

მაგრამ მიუთითა რა სხვა საქმეზე, სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, იმ მიზნით, რომ სასამართლომ დაადგინოს, დაირღვა თუ არა სამართლიანობის პრინციპი სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებისას, შესწავლილი უნდა იქნეს, სამართლიანად წარიმართა თუ არა საქმესთან დაკავშირებული ყველა პროცედურა მთლიანობაში, მათ შორის სააპელაციო პროცედურები და ჩვენების ჩამორთმევა, საბოლოოდ კი, სასამართლოს ერთადერთი ამოცანა დარჩება შესასრულებელი – დაადგინოს, იყო თუ არა სამართლიანად ჩატარებული ყველა პროცედურა მთლიანობაში, მათ შორის ჩვენების ჩამორთმევა.¹⁶

ამგვარად, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების კონტექსტში „სამართლიანობა“ მოიცავს შემდეგ ასპექტებს: მხარეთა თანასწორობას, პროცესის შეჯიბრებითობის ბუნებას¹⁷, მართლმსაჯულების აღსრულების საჯარობას, სისხლის სამართლის ბრალეულობის დამოუკიდებელ და მიუკერძოებულ შემოწმებას, ეფექტურ მონაწილეობას საქმის განხილვაში, მათ შორის დაცვის უფლების შესაბამის და მართებულ განხორციელებას, საქმის შესწავლისთვის გამოყოფილ გონივრულ დროს და ა.შ.¹⁸

¹³ იხ. „დელკურტი ბელგიის წინააღმდეგ“; 1970 წლის 17 იანვრის განაჩენი; სერია „ა“, #11; გვ.15, ს 25; „კოსტოვსკი ნიდერლაზდების წინააღმდეგ“, 20 ნოემბერი, 1989; სერია „ა“, ს 44; #166.

¹⁴ იხ. „როუვი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, № 28901/95, ს 34, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-II.

¹⁵ იხ. „მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ“, #6293/04; ს 228 - 229; 2008 წლის 11 დეკემბერი (ამ განაჩენში საუბარია სხვადასხვა სახის მტკიცებულებათა მტკიცებულებით ღირებულებაზე, მათ შორის სატელეფონო საუბრის ჩაწერით მოპოვებულ მტკიცებულებაზე და ექსპერტის ჩვენების ინტერპრეტაციაზე).

¹⁶ იხ. „ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1992 წლის 16 დეკემბერი, ს 34, სერია „ა“, 247-B.

¹⁷ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების რევოლუციამდელ (1917 წლამდე) თეორიაში პროცესის შეჯიბრებითობა ნიშნავდა სისხლისსამართლებრივი პროცედურის სამ ფუნქციად დაყოფას – საბრალდებო, დაცვისა და სასამართლო ფუნქციებად, რომელიც თეორიულად არ უნდა დამოუკიდებელ ერთმნეთს. ამ თეორიის მომზრები იყვნენ კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის პროფესორი დ.გ. ტალბერგი (1889) და ი. ი. ფონინიცი. საბჭოთა პერიოდშიც იგივე მიღომას იზიარებდნენ, თუმცა მხოლოდ თეორიულ ნაწილში.

¹⁸ კარენ რეიდი. *A Practitioner's Guide to the European Convention on Human Rights*. London: Sweet and Maxwell. 1998, გვ. 51; კარენ რეიდი. *A Practitioner's Guide to the European Convention on Human Rights*. London, 2008; მესამე გამოცემა, გვ. 66.

შეიძლება დაგასკვნათ, რომ ზოგადი მიდგომა პრეცედენტულ სამართალში მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო უფრო იმის შეფასებას აკეთებს, თუ რა არის არასამართლიანი, ვიდრე განსაზღვრავს, თუ რას უნდა ჰგავდეს სამართლიანი პროცესი¹⁹. თუმცა იმისთვის, რომ ზემოთ დადგენილი პრინციპების გამოყენება მოხდეს, საჭირო იქნება იმ განსაკუთრებული გარემოებების შეფასება, რომლებშიც სასამართლოს დადგენილება გამოაქვს სისხლის სამართალწარმოების რომელიმე პროცედურის არასამართლიანად ცნობის შესახებ. ამაზე დაყრდნობით შევადაროთ სამართლიანობის ზემოთ განხილული პრინციპები გარკვეულ მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აფასებს სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებშიც საჩივრებია დართული მტკიცებულების არაკანონიერად მოპოვების შესახებ.

მტკიცებულების არასათანადო შეფასებით გამოწვეული არასამართლიანი სისხლის სამართლადწარმოება

შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ სისხლის სამართალწარმოება არასამართლიანად წარიმართა, თუ, როგორც ამტკიცებენ, მტკიცებულება არ შეფასდა სწორად? როგორც წესი, ამ კითხვაზე პასუხია – არა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მტკიცებულების არასათანადო შეფასებასთან დაკავშირებული განცხადებები, გარკვეული მტკიცებულებების დასაშვებობასთან და მტკიცებულების მათ ძალასთან დაკავშირებული საკითხები, ისევე, როგორც შიდასახელმწიფოებრივი პროცედურული ან მატერიალური კანონმდებლობის არასწორი გამოყენების შემთხვევები, ევროპული სასამართლოს კომპეტენციის სფეროს სცილდება. სასამართლოს პრეცედენტული სამართლი არ ადგენს წესებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს მტკიცებულება ან რომელს უნდა მიენიჭოს მეტი დამამტკიცებელი ღირებულება ან უპირატესობა. სასამართლოსთვის ეს საკითხები აშკარად დაუშვებელია შემდგომი არსებითი განხილვისთვის და, საერთოდ, მიიჩნევა ე.წ. „მეოთხე ინსტანციის ბუნების სარჩელებად”, თუ სასამართლოსთვის წარდგენილ განცხადადებებში ეს პრობლემებია წამოჭრილი. ამ კუთხით სასამართლომ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მისი დამხმარე ბუნება პირველი ინსტანციის ტრიბუნალის და შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უწყებების ჩანაცვლების უფლებას არ იძლევა მტკიცებულებების შეფასებასთან ან ფაქტების მოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ამ პრობლემების გადასაჭრელად, სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები უკეთეს მდგომარეობაში არიან²⁰. თუ როგორ წყვეტს სასამართლო მეოთხე ინსტანციის საჩივრებსა და განმარტებებთან დაკავშირებულ საკითხებს და რატომ ცხადდება ისინი ჩვეულებრივ დაუშვებლად, კარგად ჩანს სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მან გია ფაცურიას მიერ შეტანილ განაცხადზე მიიღო საქმეში „გია ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ”²¹.

¹⁹ კარენ რეიდი. *supra*, მესამე გამოცემა გვ. 67 - 68.

²⁰ იხ. „კოვალი უკრაინის წინააღმდეგ”, # 65550/01, § 118, 19 ოქტომბერი, 2006.

²¹ იხ. „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ”, # 30779/04, §§ 86 - 87, 6 ნოემბერი, 2007.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშვედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში

მაგრამ ზემოთ მოცემული ზოგადი მიდგომის მიუხედავად, რომელიც სასამართლოს მუდმივ პრეცედენტულ სამართლს ეყრდნობა, ევროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში მკაფიოდ აცხადებს, ის შეისწავლის, თუ როგორ იქნა მტკიცებულება მოპოვებული, მით უმეტეს, თუ მტკიცებულება ისეთი გზით იქნა მოპოვებული, რომელზეც ამტკიცებენ, რომ უკანონო იყო, განსაკუთრებით კი, თუ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირის ბრალეულად ცნობის საქმეში. სასამართლო სიფრთხილით ეკიდება აგრეთვე გაურკვეველ ვითარებაში მოპოვებულ მაინცრიმინირებელ მტკიცებულებას, რომელიც ერთადერთი სამხილია პირის გასამართლების დასასაბუთებლად.

სასამართლოს პრაქტიკას რომ მივუწრუნდეთ, როგორც წესი, პრეცედენტული სამართლი ადგენს, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე გულისხმობს, რომ ნებისმიერი სახის მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო მოსმენაზე ბრალდებულის თანდასწრებით, საწინააღმდეგო არგუმენტების მოსმენის მიზნით; განსასჯელს უნდა მიეცეს შესაბამისი და სათანადო შესაძლებლობა, რომ დაუპირისპირდეს მის წინააღმდეგ გამოსულ მოწმეს და დაკითხოს ის როგორ განცხადებები კეთდება, ან მოგვიანო ეტაპზე. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გარანტიებთან შესაბამისობაში რომ იყოს, გასამართლება შემოლოდ ან ძირეულად იმ მოწმის ჩვენებების იმედზე არ უნდა იყოს, რომლის დაკითხვის საშუალებაც განსასჯელს არ ჰქონია, ან უფრო ზოგადად, მხოლოდ იმ მტკიცებულებას არ უნდა ეყრდნობოდეს, რომელიც არ შესწავლილა გამოძიების ან სასამართლო პროცესის დროს. აქ შედის აგენტ-პროცესუატორებისა²² და ანონიმი მოწმეების²³ მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაფუძნებული მტკიცებულებებიც, რაც არ შედიოდა სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხებში.

ამგვარი შემთხვევები გამოვლინდა ევროპული სასამართლოს რამდენიმე ბოლოდროინდელ საქმეში იმ ქვეყნებიდან, სადაც კონტინენტური და ინკვიზიციური სისხლის სამართლის იუსტიციის ტრადიციები აქვთ.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ევროპულ სასამართლოში ვლადიმერ რომანოვმა²⁴ აღძრა, განმცხადებლის გასამართლება ეფუძნებოდა იმ მსხვერპლის ჩვენებას, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ განმცხადებელს საშუალება არ ჰქონია, კითხვის ქვეშ დაეყენებინა მსხვერპლის განცხადებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი დამნაშავედ ცნობისთვის. ამ ფაქტების საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესი არასამართლიანი იყო. ამავე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან თანაბრალდებულების მიერ ბრალის აღიარების შესახებ გაკეთებული განცხადებები მოგვიანებით, საქმის სასამართლოში გადაცემის შემდეგ, უკან იქნა წაღებული მათ მიერ, რადგან, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, გამომძიებლის მხრიდან მათ იძულებას ჰქონდა ადგილი, ეს განცხადებები მტკიცებულებად არ უნდა ყოფილიყო მიღებული განმცხადებლის პროცესზე და მათ არ გააჩნდათ

²² იხ. „თეიხეირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ“, 9 ივნისი, 1998, გადაწყვეტილებებისა და განაჩენების ანგარიში 1998-IV (დამატებითი განხილვებისთვის იხილეთ ამ საქმეზე დართული განსხვავებული აზრი).

²³ იხ. „თაქსკვეტი ბელგიის წინააღმდეგ“, # 926/05, § 68, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2009... (საქმე გადაეცა დიდ პალატას).

²⁴ იხ. „ვლადიმერ რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ“, # 41461/02, 24 ივნისი, 2008.

იმდენად დიდი მტკიცებულებითი ღირებულება, რაც საკმარისი იქნებოდა განმცხადებლის დაშვილის ცნობისათვის²⁵. რაც შეეხება თანაბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი განცხადება ბრალის აღიარების შესახებ დასაშვებია მხოლოდ ამ თანაბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დასადგენად, ვინაიდან მის მიერ ბრალის აღიარება თავისთავად არ ამტკიცებს, რომ განმცხადებელიც გარეული იყო დანაშაულში.

კიდევ ერთი საკითხია ფიზიკური იძულებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ძირითად სამხილად განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისთვის. ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ უახლეს საქმეში გერმანიის წინააღმდეგ, კერძოდ, „ჯელოპი გერმანიის წინააღმდეგ”,²⁶ სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ საქმისწარმოება მთლიანობაში იყო არასამართლიანი. სასამართლო დაეყრდნო განმცხადებლის საჩივარს, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ მას ძალით მიაღებინეს გულის ასარევი წამალი და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება (მის მიერ გადაყლაპული პრეპარატი) – მისი აზრით, უკანონოდ მოპოვებული – გამოყენებული იქნა მის წინააღმდეგ სასამართლოში. სასამართლომ დაადგინა, რომ ოფიციალურმა პირებმა განმცხადებელი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დაუქვემდებარეს მძიმე ფიზიკურ და ფიზიკოლოგიურ ზეწოლას და აიძულეს, გული აერია არა სამკურნალო მიზნით, არამედ მტკიცებულების მისაღებად, რასაც ისედაც მოიპოვებდნენ ნაკლებად შემაწუხებელი მეთოდებით. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ცუდი მოპყრობის სრულად აკრძალვასთან. ამგვარად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მტკიცებულება მოპოვებული იყო ისეთი გზით, რაც არღვევდა კონვენციის უმთავრეს აკრძალვას და ეს მოპოვებული მტკიცებულება გადამწყვეტი იყო განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისთვის. შესაბამისად, იმ მტკიცებულების გამოყენება, რომელიც მიღებული იქნა განმცხადებლისთვის გულის ასარევი წამლის იძულებითი დალევით, ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესს და მისი პროცესი მთლიანობაში არასამართლიანად იქნა ცნობილი.

ზემოთ განხილული სასტიკი/ცუდი მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაშვების მსგავსი და ალბათ უფრო პირდაპირი შემთხვევა იყო შესწავლილი საქმეში „ოლექსანდრ იერემენკო უკრაინის წინააღმდეგ”²⁷. იერემენკო დააპატიმრეს ეჭვის საფუძველზე, რომ ის რამდენიმე მკვლელობაში იყო გარეული. განმცხადებელი ჩიოდა, რომ წინასწარ პატიმრობაში მას პოლიციელები სასტიკად მოექცნენ და ოფიციალურმა პირებმა სათანადოდ არ შეისწავლეს მის მიერ წამოყენებული ბრალდებები სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით. მან დაკავებაში ყოფნისას რამდენჯერმე თქვა უარი დამცველზე და აღიარა დანაშაული, როცა ბრალი წაუყენეს. მაგრამ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც განმცხადებელს იურიდიული დახმარება აღმოუჩინეს, სასამართლოს მიმდინარეობისას მან უარყო დანაშაულში მონაწილეობა. შემდეგ, როცა მის დამცველს გამომძიებლის გადაწყვეტილებით აცილება მისცეს

²⁵ იხ. „მ.ჟ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (# 28572/95, კომისიის 1997 წლის 17 იანვრის დასკვნა), რომელიც უფრო დეტალურად აღწერს ტესტი დამნაშავის თანამზრახველების მიერ დანაშაულის აღიარებს დასაშვებობის შესასწავლად როგორც მტკიცებულებისა სხვა პირების სასამართლო პროცესზე.

²⁶ იხ. „იალოპი გერმანიის წინააღმდეგ“ (დიდი პალატა), # 54810/00, აღამინის უფლებათა ევროპული სასამართლო...

²⁷ იხ. „იერემენკო უკრაინის წინააღმდეგ“, # 32092/02, 12 ივნისი, 2008.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშავედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში

სასამართლო პროცესზე, მან ისევ აღიარა დანაშაული. განმცხადებლის საქმის შესწავლისას სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო მის მიერ დანაშაულის აღიარების რამდენჯერმე უარყოფა და ბრალდებები მისდამი სასტიკი მოპყრობის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ ჩაატარეს მისდამი, როგორც თავად ამტკიცებდა, სასტიკი მოპყრობის ფაქტების ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიება, რაც მე-3 მუხლის დარღვევაა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გამომძიებელმა განმცხადებლის დამცველს დისკვალიფიკაცია მას შემდეგ მისცა, რაც ამ უკანასკნელმა თავის კლიენტს ურჩია, დუმილი დაეცვა და თავის საწინააღმდეგო ჩვენება არ მიეცა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სერიოზული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი განცხადება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იქნა მოპოვებული²⁸. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის ბრალდება, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ მას დანაშაული არაკანონიერად აღიარებინეს, სათანადოდ არ იქნა შესწავლილი, სასამართლომ დაადგინა, რომ დანაშაულის აღიარების შესახებ მისი განცხადების გამოყენება სასამართლოზე არღვევდა მის უფლებას დუმილზე, ასევე უფლებას, არ მიეცა თავის საწინააღმდეგო ჩვენება, რაც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა რომ იერემენკოს შემთხვევაში დარღვეული იქნა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გარანტირებული უფლება, რაც გულისხმობს, რომ პირი შეიძლება წარმოდგენილი იყოს დამცველის მიერ, რომელსაც თავად აირჩევს.

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმისწარმოების სამართლიანობაზე მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებით საქმეში „ჰარუთუნიანი სომხეთის წინააღმდეგ“²⁹, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის უფლება, არ მიეცა თავის საწინააღმდეგო მაინცრიმინირებელი ჩვენება და უფლება სამართლიან სასამართლოზე, დაირღვა მისი წამების შედეგად და მის საწინააღმდეგოდ გამოყვანილი ორი მოწმისგან მიღებული განცხადებების გამოყენებით სასამართლო პროცესზე. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი და მოწმები იძულებული გახადეს, მიეცათ აღიარებითი ჩვენებები და რომ ეს ფაქტი დამტკიცებული იქნა ადგილობრივი სასამართლოების მიერ, როცა მათ პატიმრობა მიუსაჯეს პოლიციელებს სასტიკი მოპყრობის გამ.

ზემოთ მოტანილი პრეცედენტების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას იწვევს. მაგრამ ეს ასე არ არის. სასამართლო თავის პრაქტიკაში მკაფიოდ აცხადებს, რომ როგორც უკანონოდ მოპოვებული გარკვეული მტკიცებულება შეიძლება დასაშვები იყოს, თუ საქმე მთლიანობაში სამართლიანი წარიმართა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს დააინტერესებს, დაცული იქნა თუ არა დაცვის უფლებები, უფრო კონკრეტულად კი, მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, გაეპროტესტებინა მტკიცებულების მოპოვების მეთოდები და წინააღმდეგი იყო თუ არა განმცხადებელი, ეს მტკიცებულება გამოყენებული ყოფილიყო

²⁸ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მსგავსი დარღვევა იქნა აღმოჩენილი საქმეში „შეაბეჭირებული უკრაინის წინააღმდეგ“ (#16404/03, გ 59, 19 თებერვალი, 2009), რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ჩვენებები მისი სურვილის წინააღმდეგ იქნა მოპოვებული.

²⁹ იხ. „ჰარუთუნიანი სომხეთის წინააღმდეგ“, # 36549/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007-VII.

სასამართლოს მიმდინარეობისას³⁰. სასამართლო, ჩვეულებრივ, არ წამოჭრის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საკითხს მთლიანობაში აღებული არსებული მტკიცებულების საფუძველზე პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში³¹, განსაკუთრებით, თუ განმცხადებელს ჯეროვანი შესაძლებლობა, სათანადო დრო და პირობები ჰქონდა იმისთვის, რომ წარმოედგინა საქმეზე შემოტანილი მასალები და გაეპროტესტებინა გარკვეული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი³².

აქ ჩვენ გადავხედავთ კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტებს, როდესაც განმცხადებელი უარს ამზობს თავის უფლებაზე სრულ სასამართლოზე, აქედან გამომდინარე კი, უფლებაზე, ჰქონდეს სრული და სათანადო დაცვის შესაძლებლობა, ასევე უფლებაზე, დააყენოს მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი. საერთოდ, ეს შემთხვევები სისხლის სამართლის საქმების გადაწყვეტის გამარტივებულ პროცედურებს უკავშირდება. ისინი ამ ბოლო დროს მოექცნენ სასამართლოს ყურადღების ქვეშ. ერთ-ერთი საქმე განიხილა სასამართლოს დიდმა პალატამ, კერძოდ, „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ”³³, მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ. თავის პრაქტიკაში, რომელიც ბრალის აღიარებას და სუმარულ სასამართლო მოსმენებს ეხება და ასევე მტკიცებულების შეფასებასთან წამოჭრილი საკითხების განხილვისას, ევროპული სასამართლო ადგენს შემოწმების გარკვეულ კრიტერიუმებს და სტანდარტებს, რომლებიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სამართლიანად წარიმართა სისხლის სამართლის საქმე.

გამარტივებული და შეკვეცილი სასამართლო პროცესის მიზანით გამოწვეული არასამართლიანი სისხლის სამართლიანობის მიზანით

სრული სასამართლო პროცესის არარსებობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ პროცესი არასამართლიანად ჩატარდა. ეს ჩანს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკი-კიდან იმ საქმეებში, რომლებიც მტკიცებულების შეფასებას ეხებოდა სრული სასამართლო წარმოებისას. სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „სრული სასამართლო პროცესი”, როგორც ყოველთვის ვერ ახერხებს, შეცდომებისაგან დაიცვას მართლმსაჯულების აღსრულების პროცესი და აარიდოს მოსამართლეებს შეცდომები. სრული სასამართლო ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს, რომ მტკიცებულება საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი, მხარეთა თანასწორობა იყოს დაცული ან მნიშვნელოვანი მოწმე მოსმენილი. მიუხედავად ამისა, სრული სასამართლო პროცესი სტატუტური და საერთო სამართლის ნორმებით მოქმედ სასამართ-

³⁰ მაგალითად, საქმეში „მელნიკი უკრაინის წინააღმდეგ” (#72286/01, 28 მარტი, 2006) განმცხადებელმა არ გააპროტესტა იმ მტკიცებულებებს (ნაკოტიკული ნივთიერების) დასაშვებობის საკითხი, რომელიც პოლიციის საიდუმლო ოპერაციის დროს აგენტის მიერ იქნა შეძენილი.

³¹ იხ. „შჩენკი შევიცარის წინააღმდეგ”, 12 ივლისი, 1988, სერია „ა”, #140, და „სატიკი თურქეთის წინააღმდეგ” (#2), #60999/00, 8 ივლისი, 2008.

³² იხ. კოვალის განაჩენი, ციტირებულია ზემოთ, § 117.

³³ იხ. „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ” (#2) [დიდი პალატა], #10249/03, 17 სექტემბერი, 2009.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშავედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში

ლოსა და ტრიბუნალში, როგორც წესი, აღიქმება იმ ადგილად, სადაც მართლმსაჯულების აღსრულება სამართლიანად მიმდინარეობს სისხლის სამართლის სფეროში³⁴, ვინაიდან სრულ პროცესს ისეთი განსაზღვრული ხელშეუვალი თვისებები აქვს, რომლებიც სრულიად განსხვავდება სხვა დანარჩენი არასასამართლო პროცედურებისგან სისხლის სამართლის საქმეში. კერძოდ, ის აკმაყოფილებს არსებითი და პროცედურული სამართლიანობის მოთხოვნებს. რაც შეეხება თვისებებს, ერთ-ერთი მათგანია სასამართლო პროცესის საჯაროობა, ანუ შესაბამისობა იმ პრინციპთან, რომ „მართლმსაჯულების აღსრულება უნდა ჩანდეს“. პრინციპში, შეიძლება საკამათო იყოს, რომ სრული პროცესი ის გამოსავალია, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის „სამართლიანი გზით“ გადაწყვეტის საკითხს, ისე რომ, კონვენციის მე-6 მუხლი არ დაირღვეს.

ამას გარდა, ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხშირად ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის დაუსაბუთებელი გაჭიანურება ნიშნავს, რომ განმცხადებელს „მართლმსაჯულებაზე უარი ეთქვა“, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავასაბუთებთ, რომ პროცედურულად საქმე გაუმართლებლად გახანგრძლივდა, მაგრამ არ იყო „უსამართლო“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით³⁵. ამ დროს ხელისუფლება ხშირად ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის საქმე რთული იყო და რომ სასამართლო და სამართლიანი შეუფერხებლად მუშაობდნენ, რათა უზრუნველყოფით საქმის სამართლიანად წარმოება. ასე რომ, ასეთ საქმეებში ჩვენ ვიკლევთ მუდმივ კონფლიქტს, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის სფეროში მართლმსაჯულების საკმარისად გულდასმით და სამართლიანად აღსრულების საჭიროებას (საქმის სასასამართლო წარმოების პროცედურული და მატერიალური შედეგი სამართლიანია) და, მეორე მხრივ, მის ეფექტურად აღსრულებას შორის (გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე). ამ მხრივ ევროპის საბჭოს რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტი გვეხმარება, რომ გამოვიყენოთ გამარტივებული და შეკვეცილი პროცედურები სისხლის სამართლის საქმეების გადასაწყვეტად, ძირითადად, ბრალდებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრის მეშვეობით, რომლებმაც ყურადღება უნდა გაამახვილონ რთული და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საქმეების ეფექტურად გადაწყვეტაზე და არა მსუბუქ დანაშაულზე, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს გამარტივებული გზით. მაგალითად, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # R(87)18 სისხლისსამართლებრივი იუსტიციის გამარტივების შესახებ გვთავაზობს, რომ სისხლის სამართლის საქმეები, პროცედურული თვალსაზრისით, რაც შეიძლება ეკონომიკურად უნდა მოგვარდეს. რეკომენდაცია მიუთითებს მუდმივად გაჭიანურებულ პროცედურებზე და საქმეების მზარდ რაოდენობაზე, რომლებიც სისხლისსამართლებრივმა სისტემებმა უნდა გადაწყვიტონ. ამ პრობლემების გათვალისწინებით, მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ უპირატესობა მიეცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს: დისკრეციული ბრალდებისა და ბრალდების ალტერნატივების გამოყენებას, სუმარული პროცედურებისა და ე.წ. გამარტივებული პროცედურების გამოყენებას და ბოლოს, სადაც კი საჭიროება მოითხოვს, სასამართლოში საქმის წარმოების გამარტივებას. ერთ-ერთი პრო-

³⁴ ოსბორნის შემოკლებული ლექსიკონი, მე-8 გამოცემა (Sweet & Maxwell), 1993.

³⁵ გამარტივებული პროცედურების მიუხედავად, გარკვეული საქმეების, რომელშიც დანაშაულის აღიარება შედის, გონივრულ დროში გადაწყვეტა არ ხერხდება. იხ. მაგალითად, „ნიკოლოვა ბუღარეთის წინააღმდეგ“ (#2), #40896/98, 30 სექტემბერი, 2004 (განცხადება დანაშაულის აღიარების შესახებ შესწავლილი უნდა იქნეს გონივრულ დროში).

ცედურა, რომელსაც ზემოხსენებული რეკომენდაცია გვთავაზობს, არის ბრალის აღიარების სანაცვლოდ ბრალდებისგან გარკვეული თხოვნის დაკმაყოფილება სისხლის სამართლის საქმეებში. მაგალითად, გარკვეული ბრალდებების მოხსნა, დანაშაულის გადაკვალიფიცირება, საპატიმრო ვადების შემცირება და ა.შ. ამიტომ გადავხედოთ გამარტივებულ პროცედურებს სისხლის სამართლის საქმეების გადასაწყვეტად, დანაშაულის აღიარებაზე დაყრდნობით, და განვიხილოთ მათი შესაბამისობა მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ანუ, პრინციპში, შესაძლებელია თუ არა ამ მუხლით განსაზღვრულ უფლებებზე უარის თქმა.

ერთ-ერთი პირველი ასეთი საქმე, „დიუერი ბელგიის წინააღმდეგ”³⁶, ეხებოდა საქმის შევიდობიანად მოგვარებაზე გაფორმებულ შეთანხმებას ადგილობრივ პროკურორსა და განმცხადებელს შორის დანაშაულის აღიარებაზე, აგრეთვე განმცხადებლის თანხმობაზე, დაკირებოდა ჯარიმა ადგილობრივი საგადასახადო ორგანისაგან ძროხისა და ღორის ხორციელ გასაყიდი ფასის დადებისთვის. შეთანხმება ეყრდნობოდა არჩევანს, რომელიც განმცხადებელს უნდა გაეკეთებინა უფრო მაღალ სანქციასა (სრული პროცედურის შემთხვევაში, რომლის საბოლოო შედეგი უცნობი იყო და მის მაღაზიას დახურვაც ემუქრებოდა) და განსაზღვრულ „ჯარიმას“ შორის „რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის უნდა გადახსადა ერთგვარი კომპენსაციის სახით, მის მიერ ჩადენილი გასაკიცხი საქციელის გამო“. მიუთითა რა საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სრული სასამართლო პროცესს უფლებაზე უარის თქმა, რომელსაც კონვენციით მოთხოვნილი ყველა გარანტია ახლავს თან, უფლების დარღვევას წარმოადგენდა შეზღუდვის გამო. ამით დარღვეული იქნა კონვენციის მე-6 მუხლი. ეს საქმე შეიძლებოდა დაგვეხსიათებინა როგორც დანაშაულის აღიარების მიზნით პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაგალითი. გარკვეული თვალსაზრისით, განმცხადებელი სტრესულ მდგომარეობაში ჩააგდეს ადგილობრივმა ოფიციალურმა პირებმა და არჩევანიც აღარ დაუტოვეს. ის იძულებული გახდა, ბრალი ელიარებინა.

ამგვარი არამართებული ზეწოლის ერთ-ერთი რეალური ფაქტი ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეში „რუსტარევი რუსეთის წინააღმდეგ“³⁷. უფრო კონკრეტულად, განმცხადებლის დაკითხვის ოქმებიდან სასამართლომ დაადგინა, რომ მისთვის საკვები და წყალიც კი არ მიუწოდებიათ დაკითხვამდე გარკვეული ხნის განმავლობაში, გამომძიებელმა კი საჭმელი შესთავაზა დანაშაულის აღარების სანაცვლოდ. ამგვარი სახის ზეწოლამ შესაძლოა მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ აღიარება ნებაყოფლობითი არ ყოფილა.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ტრიბუნალი, რომელიც დანაშაულის აღიარებას განიხილავს, დამოუკიდებელი და მიუკერძოებული უნდა იყოს³⁸, პირს, რომელიც განხცადებას აკეთებს დანაშაულის აღიარების შესახებ, უფლება აქვს, წარმოდგენილი იყოს დაცვით გამარტივებული და შეკვეცილი სასამართლო მოსმენებისას³⁹ ან

³⁶ იხ. „დიუერი ბელგიის წინააღმდეგ“, 27 თებერვალი, 1980, გვ. 53 – 54, სერია „ა“, № 35.

³⁷ იხ. „რუსტარევი რუსეთის წინააღმდეგ“, #63332/00, 21 ივნისი, 2005 (სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სიტუაცია ადგილობრივ დონეზე იქნა მოგვარებული და რომ განმცხადებელი აღარ წარმოადგენდა სავარაუდო დარღვევათა მსხვერპლს).

³⁸ იხ. „ფინდლეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 25 თებერვალი, 1997; განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები, 1997-1.

³⁹ იხ. „უაითფილდი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ## 46387/99, 48906/99; 57410/00 და 57419/00, 12 აპრილი, 2005.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშვედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში

ჰყავდეს თარჯიმანი, რათა შეძლოს მისთვის წაყვენებული ბრალდების გაგება და გაერკვეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს განცხადებას ბრალის აღიარების შესახებ⁴⁰. ყოველ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს მუდმივი პრეცედენტული პრაქტიკა აღიარებს, რომ ნებისმიერი სახის აღიარება უნდა იყოს ზუსტი, ფაქტობრივად და იურიდიულად სანდო (რომელიც ეყრდნობა შესაბამის ფაქტებსა და ადგილობრივი კანონმდებლობით სათანადოდ კლასიფიცირებულ დანაშაულს), ნებაყოფლობითი და განსასჯელს არ უნდა ჩამოერთვას აუცილებელ იურიდიულ დახმარებაზე უფლება⁴¹. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ საქმეებში, რომელშიც ბრალის აღიარება მტკიცების ცენტრალური ელემენტია, შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები ამ განცხადებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა ის სასამართლოს პრაქტიკით გარანტირებულ მოთხოვნებს სამართლიანობაზე, რასაც მე-6 მუხლი ითვალისწინებს. ეს მოიცავს დანაშაულის აღიარების განცხადების შესახებ ინფორმაციის, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობას და განცხადების ნებაყოფლობით ხასიათს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებო იქნებოდა მოსამართლე ზაგრებელსკის მიერ მეფებაჲის საქმეზე⁴² გამოთქმული განსაკუთრებული მოსაზრების რამდენიმე ნაწყვეტის გაცნობა:

„აუცილებელია, კიდევ ერთხელ, განვაცხადოთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეკვეცილი პროცედურა არ გვთავაზობს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ყველა გარანტიას, კონვენციის დარღვევა ნამდვილად არ იქნება, თუკი განმცხადებლისთვის სისტემაში არსებობს პროცედურის რომელიმე სხვა ფორმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან, და თუ გამცხადებელს საშუალება აქვს, ინფორმირებული და თავისუფალი არჩევანი გააკეთოს ამ ორ ფორმას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი აღტერნატიული პროცედურისთვის მე-6 მუხლის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება რომ იყოს საჭირო, პროცედურის ისეთი გამარტივებული ფორმები, როგორებიცაა იტალიური სუმარული განაჩენი (გიუდიზიო აბბრევიატო) ან ა ფორტიორი, დანაშაულის აღიარების პროცედურა, უნდა მიგვეჩნია კონვენციის დარღვევად. შედეგად პროცედურები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების აღსასრულებლად, ვეღარ გამოიყენებოდა. მაგრამ სასამართლოს დადგენილი ჰქონდა, რომ სუმარული განაჩენის პროცედურა იტალიაში შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს... და კომისიამაც მსგავსი დასკვნა გამოიტანა დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაზე [რომელიც არსებობს გაერთიანებულ სამეფოში]... ამ მიზეზების გამო, მე გამომაქვს დასკვნა, რომ დარღვევას არ ჰქონია ადგილი არც ერთი საჩივრის შემთხვევაში“.

მოსამართლე ზაგრებელსკის ზემოთ მოტანილი მოსაზრების გარკეულწილად მსგავსი არგუმენტაცია გაიზიარა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეში „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ“⁴³. რომელშიც სასამართლომ დადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია

⁴⁰ Cuscani c. Royaume-Uni, n° 32771/96, 24 septembre 2002.

⁴¹ იხ. „მაჯიი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, #28135/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-VI.

⁴² იხ. „მეფებაჲი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“, ## 32911/96, 35237/97 და 34595/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2002-VII.

⁴³ იხ. „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ“ (#2), დიდი პალატა [GC], # 10249/03, 17 სექტემბერი, 2009.

მე-6 მუხლი, არ შეასრულა რა განმცხადებლისთვის მიცემული შეპირება მისი თხოვნის სანაცვლოდ, გასამართლებული ყოფილიყო სუმარული პროცედურული წესით. განმცხადებელმა ითხოვა, რომ ის სუმარული წესით გასამართლებულიყო მკვლელობისა და სხვა დანაშაულებისთვის. ეს გამარტივებული პროცესია, რომლის შედეგად მცირდება სასჯელის ვადა პატიმრობის შემთხვევაში და არსებობს შესაძლებლობაც, რომ გამოყენებული იქნეს 30 წლიანი პატიმრობა სამუდამოს ნაცვლად. მოსამართლე დათანხმდა მის თხოვნას. თუმცა განმცხადებლის გასამართლების დღეს შეიცვალა კანონმდებლობა და სასამართლოც ვალდებული იყო, ახალი ნორმების საფუძველზე განეხილა განმცხადებლის საქმეც და საკუთარი ვალდებულებაც მსუბუქი სასჯელის შეფარდების თაობაზე. მაგრამ სასამართლომ ისევ სუმარული პროცედურით გადაწყვიტა საქმის განხილვა. ამ საქმეში განმცხადებელი ჩიოდა, მიუხედევად იმისა, რომ მან გამარტივებული პროცესი ირჩია – სუმარული პროცედურა – მას ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა წაართვეს, რაც ამ ალტერნატივიდან მომდინარეობდა იმ დროს მოქმედი კანონის ძალით, როცა მან არჩევანი გააკეთა. ეს სამუდამო პატიმრობის 30 წლიანით შეცვლა იყო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სუმარული პროცედურა განსასჯელს უდავო უპირატესობას აძლევდა, მაგრამ, ამავე დროს, ამცირებდა რიგ პროცედურულ გარანტიებს, რაც სამართლიანი სასამართლოსთვის არის ჩვეული. ითხოვა რა განმცხადებელმა, გასამართლებულიყო სუმარული პროცედურით, მან უარი თქვა უფლებაზე, მისი საქმე განხილულიყო სრულ, ღია სასამართლო მოსმენაზე, მაგრამ სასამართლო ხელისუფლებამ ცალმხრივად შეკვეცა ის უპირატესობანი, რომლებიც თან ახლავს სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე უარის თქმას. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში დაასკვნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ამ საფუძვლით იქნა დარღვეული. ამგვარად, მოცემულ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ სამართლიანობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში სუმარული პროცესის კონტექსტში გულისხმობს, რომ გამარტივებული პროცედურების მიღების შემთხვევაში ბრალდებულს უსაფუძვლოდ არ უნდა ჩამოერთვას ის უპირატესობანი, რაც ამ სუმარულ პროცედურებს ახლავს თან.

დასკვნა

ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსასჯელის სისხლის სამართლის საქმის პროცესში ეფექტურად მონაწილეობის უფლების დარღვევას ეხება, გარკვეული წვლილი შეაქვთ იმ ცვლილებებში, რომლებიც შემდეგ ადგილობრივ დონეზე ხორციელდება. ზოგჯერ ახალი პროცესი იმართება,⁴⁴ რადგან სახეზეა სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევა და ცვლილებებიც კი შედის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში⁴⁵ ან სასამართლოებისა და სამარ-

⁴⁴ ასეთი განმეორებითი პროცესი გაიმართა ზემოთ ნიხსენებ ერემენკოს საქმეზეც, სადაც უკრაინის უზენაესმა სასამართლო ხელახლა მოისმინა განმცხადებლის საქმე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ.

⁴⁵ ასეთი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ”, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობა ვალდებული იყო, გამოტანილი განაჩენი შეცვალა ისეთი სასჯელით, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ევროპული სასამართლოს განაჩენი მოცემულ პრინციპებთან.

უფლება სამართლიან სასამართლოზე, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და თავის დამაშავედ ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

თალღამცავების მუშაობის პრაქტიკაში.⁴⁶ წლების მანძილზე ევროპული სასამართლო აცხადებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უფლებას სამართლიან სასამართლოზე და იმეორებს იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივმა სასამართლო ხელისუფლებამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი სისტემების ფუნქციონირება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტის კონტექსტში ახალი საკითხებისა და პროცედურების წამოჭრასთან ერთად, მე-6 მუხლის გარანტიები უფრო მკაცრი და ძლიერი ხდება, ითხოვენ რა ეროვნული ხელისუფლებისგან, რომ მან ზედმიწევნით შეასრულოს მოთხოვნები იმის შესახებ, რომ სამართალწარმოების პროცესი შეჯიბრებითი იყოს და რომ ბრალდების წარმომადგენლებს არანაირი უპირატესობა არ მიეცეთ მსჯავრდებულის/დაცვის მხარესთან შედარებით. ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის პრაქტიკაში დაადასტურა, რომ კონვენციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროპის დონეზე სისხლის სამართლის იუსტიციის მიზნები განხორციელდეს, ანუ მართლმსაჯულება ყველასათვის აღსრულდეს, დამნაშავე გასამართლდეს და დაისაჯოს, მაგრამ, ამასთან, მას დახმარება გაეწიოს, რათა კანონმორჩილად იცხოვროს, დანაშაულის მსხვერპლის უფლებები მაქსიმალურად იქნეს აღდგენილი, ხოლო უდანაშაულოთა უფლებები – დაცული. ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი სასარგებლო ინდიკატორის როლს ასრულებს შიდასახელმწიფობრივი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის. ის ყურადღებით აკვირდება, აგრეთვე, უახლეს ტენდენციებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პრაქტიკაში საერთაშორისო სასამართლოების მიერ, რომლებმაც სისხლის სამართლის პროცესების სამართლიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ჩართეს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. ზოგადად რომ დავასკვნათ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასარგებლო საკვებია ფიქრისთვის, ის წყაროა სამეცნიერო კვლევებისთვისაც, რათა უკეთესი ცვლილებები შევიდეს ადგილობრივ სამართლებრივ და სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემებში მათ დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. ის სასარგებლო იარაღია ადგილობრივ დონეზე სწავლებაში, კვლევასა და პრაქტიკულად გამოყენაბაში, რათა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები უფრო ეფექტური გახდეს ადგილობრივ დონეზე, და უფრო მაღალიც კი, ვიდრე კონვენციის მე-6 მუხლი და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აწესებს.

⁴⁶ იხ. „იულმები თურქეთის წინაღმდეგ”, #16330/02, ფს 60 63, 20 მაისი, 2008; ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთავრობას უნდა მოეგვარებინა სისტემური და სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც იდენტიფირებული იქნა დასკვნაში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის შესახებ.